პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

სკკ. ტ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 164 (5265) | ოთხშაბათი, 20 ივლისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

## დღეს გაზეთში:

პარტიული კაბინეტი (მოწინავე) •
რსფსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია (1-ლი გვ.)
გაიხსნა აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია (1-ლი გვ.)
ბრძანებულება ვ. კოკინაკისა და ა. ბრიანდინსკისათვის საბჭოთა კავშირის გმირობის სახელწოდების მინიჭებისა და ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის ორდენების ჩაბარება (1-ლი გვ.)
სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოში (მე-2 გვ.)
ა. ერლიხი — ფელიქს ძერჟინსკი (ფელეტონი, მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება. მიმდინარეობა პარტიაში ჩვენ ქვეყანის საუკეთესო ადამიანები (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
ესპანელ ხალხის გმირული ბრძოლა მეორე წლისთავში (მე-4 გვ.)
ესპანეთის სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის მოწოდება (მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული კაბინეტი

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა ლოზუნგი ჩვენი ახალი კადრების პოლიტიკურად აღზრდის, ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ.

„მე ვფიქრობ, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი საკმაოდ მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი სერიოზული შეცდომების დაუშვებლად გადასჭრან ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრამეათედს".

ამხანაგ სტალინის ამ საბრძოლო დავალების შესასრულებლად საქართველოს პარტორგანიზაციებმა თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენების გაუმჯობესების და პარტიული აქტივის სწავლების ორგანიზაციის საქმეში. გაუმჯობესდა კომუნისტთა, კომკავშირელთა და თანამგრძნობთა ჩაბმა პარტგანათლების ქსელში, შემცირდა მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენები, საგრძნობლად გაიზარდა პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების რიცხვი, გაიშალა მუშაობა ხელმძღვანელ პარტმუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის აწევლებისათვის და სხვ. მაგრამ ის, რაც დღემდე გაკეთებულია ამ დარგში, მაინც ვერ დაგვაკმაყოფილებს.

„მუშაობა პოლიტიკური პროპაგანდისა და აგიტაციის ხაზით ამხანაგი სტალინის მიერ ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ მოცემულ მითითებათა შესრულების საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ არა გვაქვს გაწლილი და ცალკეულ უბნებზე ამ მუშაობას დიდი ნაკლოვანებანი, და დეფექტები ახლავს", — განაცხადა ამხანაგმა ლ. ბერიამ საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე.

ერთ ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებას პარტიული კაბინეტების სუსტი მუშაობა წარმოადგენს.

პარტიული კაბინეტი მოწოდებულია ყოველმხრივი მომსახურება გაუწიოს პარტიული პროპაგანდისა და პოლიტიკური აგიტაციის საქმეს. იგი უნდა ეხმარებოდეს თვითეულ პროპაგანდისტს და აგიტატორს ბოლშევიზმის დიადი მოძღვრების ფართო მასებში ღრმად დანერგვის და ლენინ-სტალინის პარტიის საქმის დიად გამარჯვებათა ფაქტებით მაღალხარისხოვანი პოლიტიკური აგიტაციის წარმოების საქმეში.

ამ ამოცანებს პარტიული კაბინეტები წარმატებით ანხორციელებენ იქ, სადაც პარტიულ კაბინეტებს ხელმძღვანელობენ უნარიანი და ინიციატივიანი ამხანაგები, ხოლო სათანადო პარტიული კომიტეტები ყოველდღიურ კონკრეტულ დახმარებას უწევენ მათ. აქ პარტკაბინეტი მართლაც პარტიული განათლების საქმის ნამდვილი ლაბორატორიაა. იგი დაუფასებელ სამსახურს უწევს პროპაგანდისტებს პარტიული განათლების საქმის უკეთ დაყენების საქმეში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარტიული კაბინეტები ხშირად ჯერ კიდევ ვერ დგანან თავისი მოწოდების სიმაღლეზე. ისინი ჯერ კიდევ ვერ გადაქცეულან პროპაგანდისტებისათვის, პარტიულ და უპარტიო აქტივისათვის თეორიული და მეთოდური დახმარების ცენტრად. ეს უფრო ითქმის სოფლის რაიონების პარტკაბინეტებზე. მრავალი პარტკაბინეტი დღემდე სუსტად ხელმძღვანელობს პროპაგანდისტთა მუშაობას, ვერ უზრუნველჰყოფს მათ კვალიფიციური მეთოდური და თეორიული დახმარებით, არ აწყობენ სისტემატურად კონსულტაციებს, ლექციებსა და საუბრებს პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და პარტიული აქტივისათვის. ასე, მაგალითად, საქ.კ.პ. (ბ) წალენჯიხის პარტრაიკომთან არსებული პარტკაბინეტი მეტად სუსტად მუშაობს. პარტკაბინეტი რეგულარულად არ ატარებს პროპაგანდისტთა სემინარებს. იგი დახმარებას არ უწევს აგიტატორებს. აქ იშვიათია ლექციები მიმდინარე მომენტის აქტუალურ საკითხებზე. ასევე სუსტად მუშაობს საჭინავთის პარტორგანიზაციასთან (სიღნაღის რაიონი) არსებული პარტკაბინეტი. მას მუშაობის გეგმაც კი არ გააჩნია, ხოლო პროპესმინარის მუშაობა სულ ჩაშლილია — არ ტარდება ლექციები ან კონსულტაციები აქტივისათვის.

პარტიული კაბინეტი სისტემატურად უნდა ატარებდეს ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის. მაგრამ ეს ყველგან როდი ტარდება. გეგეჭკორის რაიონულ პარტკაბინეტში კონსულტაციები სისტემატურად არ ეწყობა, ხოლო საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომთან არსებულ პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისათვის ან პარტაქტივისათვის კონსულტაცია, საუბარი ან მოხსენება იშვიათი მოვლენაა. ამიტომ სრულიად არ არის გასაკვირველი, რომ ამ პარტკაბინეტში და მის ბიბლიოთეკაში იშვიათად ნახავთ პროპაგანდისტსა და აგიტატორს.

ზოგჯერ კონსულტაციები ტარდება არა დიფერენცირებულად, არა პოლიტსკოლების ტიპების მიხედვით, არამედ საერთოდ, ყველასათვის. მაგალითად, ვანის პარტრაიკომთან არსებულ პარტკაბინეტში კონსულტაციები ეწყობა რაიონის ყველა ტიპის პარტიულ სკოლათა პროპაგანდისტებისათვის. ეს ყოველად დაუშვებელია. კონსულტაციები უნდა ეწყობოდეს დიფერენცირებულად, თვითეული ტიპის სკოლის პროპაგანდისტებისათვის ცალ-ცალკე.

პარტიის საქალაქო კომიტეტები, რაიკომები და პარტკომეფი საკმაო ყურადღებას არ აქცევენ პარტკაბინეტების მუშაობას, არ ზრუნავენ პარტიულ კაბინეტში სამუშაოდ კვალიფიციური მუშაკთა შერჩევისათვის. მაგალითად, წალენჯიხის რაიონულ პარტკაბინეტს 6 თვეა გამგე არა ჰყავს; ყოფილი გამგე კურსებზე მიავლინეს, მისი შემცვლელის გამონახვაზე კი არავის უფიქრნია.

ზოგჯერ პარტგანათლების სკოლებში გაიგონებთ საჩივარს, სახელმძღვანელო არა გვაქვს და მიტომ ვერ მოვემზადეთო. ამ საჩივარს აქაიქ თვით პროპაგანდისტებიც კი იმეორებენ, მაგრამ არც პარტკაბინეტის მუშაკებს და არც პროპაგანდისტებს აზრად არ მოსვლიათ მოაწყონ პარტიულ კაბინეტში მსმენელთა კოლექტიური მომზადება მორიგი მეცადინეობისათვის დაეხმარონ მსმენელებს, შეასწავლონ წიგნზე მუშაობა, კონსპექტის დაწერა და სხვ.

პარტიული კაბინეტი დაინტერესებული უნდა იყოს პარტგანათლების სკოლებისა და წრეების მუშაობით. მისმა მუშაკებმა ადგილზე უნდა შეისწავლონ პოლიტსკოლების მუშაობა, გაარკვიონ სკოლებისა და წრეების საჭიროებანი და დროზე იზრუნონ მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებლად. კერძოდ, პარტკაბინეტი უნდა დაეხმაროს პოლიტსკოლის ხელმძღვანელებს რევოლუციის მუზეუმისა და არალეგალური რევოლუციური მუშაობის ღირსშესანიშნავ ადგილთა (ლენინის მუზეუმი, ავლაბრის სტამბა, ბელადის სამშობლო — ქ. გორი) დასათვალიერებლად ექსკურსიების მოწყობაში.

პარტკაბინეტთა ერთერთი დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იშვიათად აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, ნაკლებ ზრუნავენ ამ საკითხებისადმი პარტიული აქტივის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ამის შედეგად პროპაგანდისტებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების გაშუქებას პოლიტსკოლათა მეცადინეობაზე. ეს პარტგანათლების საქმის უთუოდ დიდი ნაკლია.

პარტიის საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა და პარტკომებმა კარგად უნდა შეიგნონ, რომ „ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანა პარტიული ორგანიზაციის ერთერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა" და სერიოზულად მოჰკიდონ ხელი პარტიულ კაბინეტთა მუშაობის გაუმჯობესებას, აღმოფხვრან პარტიული განათლების საქმეში ამჟამად არსებული ნაკლოვანებანი და ამით უზრუნველჰყონ დიდი სტალინის მიერ ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ მოცემული მითითების წარმატებით შესრულება.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ბ. ბ. მალენკოვი, ი. ბ. სტალინი, მ. ი. კალინინი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ი. ეჟოვი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიკოიანი, ვ. ვ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. მ. ლიტვინოვი და ა. თ. გორკინი.

ფოტო კისლოვისა და ლოსკუტოვისა („სოიუზფოტო")

## რსფსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

### 1938 წლის 17 ივლისის სხდომის დღიური

17 ივლისს ნაშუადღევის 1 საათისთვის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზი კრემლში დეპუტატებითა და სტუმრებით გაიავსო.

სესია ისმენს რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენებას. რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ჟდანოვი სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს — დეპუტატს იაროსლავლის ოლქის გალიჩის საარჩევნო ოლქიდან ა. ი. შახურინს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამანდატო კომისიამ შეამოწმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალები თვითეული ცალკე დეპუტატის შესახებ. შედეგად გამოირკვა, რომ რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ყველა 727 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია რსფსრ კონსტიტუციისა და „რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" საფუძველზე და მათთან სრული შესაბამისობით. არცერთ ოლქში არ არსებობს არავითარი საფუძველი არჩევნების კასირებისათვის.

არც საარჩევნო ოლქებში, და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არავითარი საჩივარი და განცხადება არ შემოსულა.

მოხსენებაში მოყვანილი უაღრესად საინტერესო ციფრები ნათლად ახასიათებენ რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობას. კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ორეულთა შორის საყ. კ. პ. (ბ) წევრია 568 კაცი და უპარტიო—159.

— ეს მოწმობს,—აცხადებს ტაშის გრიალში ამხ. შახურინი,—საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობას ბოლშევიკური პარტიისადმი, მის ერთგულებას ლენინ-სტალინის საქმისადმი, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სიმტკიცეს.

დეპუტატებს შორის 339 მუშაა, 195 გლეხი, 193 მოსამსახურე და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელი. რუსეთის ფედერაციის ხალხებმა თავისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩიეს საუკეთესო შვილები — მრეწველობის, ტრანსპორტის წარჩინებული სტახანოველები, სოფლის მეურნეობის ოსტატები. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლნი, მეთაურები, კომისრები და პოლიტმუშაკები, მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, პოეტები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი. მქუხარე ტაში გაისმის დარბაზში, როცა მომხსენებელი ლაპარაკობს რსფსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატზე, საყოველთაოსახალხო რჩეულზე — ამხანაგ სტალინზე.

სამანდატო კომისიის მოხსენების გარშემო სიტყვით გამოდის დეპუტატი ქალ. მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქიდან ორდენოსანი პილოტი ვ. ი. ლებედევ-კუმაჩი. მას არაერთხელ შეაწყვეტინეს მისი ბრწყინვალე, მხატვრული სიტყვა ლენინ-სტალინის პარტიისადმი მხურვალე სიყვარულით აღსავსე.

შემდეგ გამოდის დეპუტატი მოსკოვის ოლქის ზაგორსკის საარჩევნო ოლქიდან ამხ. მ. ვ. სარიჩევა, რომელსაც მოსკოვის, ლენინგრადისა და გორკის ოლქების, ბაშკირეთისა და თათრეთის ასსრ დეპუტატთა ჯგუფის სახელით სესიაზე განსახილველად შეაქვს პროექტი დადგენილებისა რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

სესია ერთხმად ღებულობს დეპუტატ სარიჩევას მიერ შეტანილ წინადადებას.

შემდეგ რსფსრ უმაღლესი საბჭოს ინფორმაციის სესიის დღის წესრიგის შემდგომ საკითხს — დეპუტატებისათვის იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის მოვალეობათა შესრულებასთან.

ამ საკითხზე წინადადებით გამოვიდა დეპუტატი ტულის ოლქის ვენევსკის საარჩევნო ოლქიდან ი. ა. ვლასოვი.

სესია ერთხმად ღებულობს დეპუტატ ვლასოვის მიერ შეტანილ წინადადებას.

ამით მთავრდება რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მესამე სხდომა.

## ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

**ᲑᲐᲥᲝ**, 18 ივლისი (საკადესი). დღეს დილის 11 საათზე გაიხსნა აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ორდენოსანმა მწერალმა მამედ სეიდ ჰაჯი აღა ოღლი ორდუბადიმ.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ სესია ერთხმად ირჩევს აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანს დეპუტატ მირ თეიმურ მირალეკპერ ოღლი იაკუბოვს. დამტკიცებულ იქნა სესიის დღის წესრიგი და რეგლამენტი. აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შესამოწმებლად. სესია ირჩევს სამანდატო კომისიის დეპუტატ სალიხ ალას-ძე გოჯაევის თავმჯდომარეობით. შემდეგ სესია ერთხმად ირჩევს მუდმივად მომქმედ საბიუჯეტო კომისიას დეპუტატ ვ. ი. ლებედევ-კუმაჩი. მას ერთხელ შეაწყვეტინეს მისი ბრწყინვალე, მხატვრული სიტყვა ლენინ-სტალინის პარტიისადმი მხურვალე სიყვარულით აღსავსე.

შემდეგ ადგილობრივ დეპუტატთა საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობას ბოლშევიკური პარტიისადმი, მის ერთგულებას ლენინ-სტალინის საქმისადმი, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სიმტკიცეს.

დეპუტატებს შორის 339 მუშაა, 195 გლეხი, 193 მოსამსახურე და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელი. რუსეთის ფედერაციის ხალხებმა თავისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩიეს საუკეთესო შვილები — მრეწველობის, ტრანსპორტის წარჩინებული სტახანოველები, სოფლის მეურნეობის ოსტატები. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლნი, მეთაურები, კომისრები და პოლიტმუშაკები, მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, პოეტები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი. მქუხარე ტაში გაისმის დარბაზში, როცა მომხსენებელი ლაპარაკობს რსფსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატზე, საყოველთაოსახალხო რჩეულზე — ამხანაგ სტალინზე.

სამანდატო კომისიის მოხსენების გარშემო სიტყვით გამოდის დეპუტატი ქალ. მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქიდან ორდენოსანი პილოტი ვ. ი. ლებედევ-კუმაჩი. მას არაერთხელ შეაწყვეტინეს მისი ბრწყინვალე, მხატვრული სიტყვა ლენინ-სტალინის პარტიისადმი მხურვალე სიყვარულით აღსავსე.

შემდეგ გამოდის დეპუტატი მოსკოვის ოლქის ზაგორსკის საარჩევნო ოლქიდან ამხ. მ. ვ. სარიჩევა, რომელსაც მოსკოვის, ლენინგრადისა და გორკის ოლქების, ბაშკირეთისა და თათრეთის ასსრ დეპუტატთა ჯგუფის სახელით სესიაზე განსახილველად შეაქვს პროექტი დადგენილებისა რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

სესია ერთხმად ღებულობს დეპუტატ სარიჩევას მიერ შეტანილ წინადადებას.

შემდეგ რსფსრ უმაღლესი საბჭოს ინფორმაციის სესიის დღის წესრიგის შემდგომ საკითხს — დეპუტატებისათვის იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის მოვალეობათა შესრულებასთან.

ამ საკითხზე წინადადებით გამოვიდა დეპუტატი ტულის ოლქის ვენევსკის საარჩევნო ოლქიდან ი. ა. ვლასოვი.

სესია ერთხმად ღებულობს დეპუტატ ვლასოვის მიერ შეტანილ წინადადებას.

ამით მთავრდება რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მესამე სხდომა.

მფრინავი-ორდენოსანი ვ. კ. კოკინაკი

შტურმანი ა. მ. ბრიანდინსკი

(„სოიუზფოტო)

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

### ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

### ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕ „ᲛᲝᲡᲙᲕᲐᲡ" ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მოსკოვ-ვლადივოსტოკის მარშრუტით გმირული ძირდაუშვებელი შორი გადაფრენის განხორციელებისათვის და ამასთანავე შესანიშნავი სიმამაცისა და ოსტატობის გამოჩენისათვის

1. თანახმად „დებულებისა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების შესახებ", მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება და, გადაეცეთ ლენინის ორდენი:

ამხ. ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე კოკინაკის — თვითმფრინავ „მოსკვას" ეკიპაჟის მეთაურს,

ამხ. ალექსანდრე მათეს-ძე ბრიანდინსკის — თვითმფრინავ „მოსკვას" შტურმანს.

2. მიეცეთ ერთდროული ფულადი ჯილდო გადაფრენის მონაწილეებს — ამხ. ვ. კ. კოკინაკისა და ა. მ. ბრიანდინსკის 25 ათასი მანეთი თითოს.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. კალინინი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი,
1938 წ. 17 ივლისი.

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ

საბჭოების ქვეყანამ ამას წინათ აღნიშნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთელი რიგი სასწავლებლების XX წლისთავი.

იუბილესთან დაკავშირებით მეთაურთა კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოებულ იქნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემია, ლენინგრადის 1 და 2 საარტილერიო სასწავლებლები.

17 ივლისს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა პრეზიდიუმის მთელ რიგ წევრთა დასწრებით ორდენები ჩაუბარა დაჯილდოებული სასწავლებლებისა და აკადემიის წარმომადგენლებს.

მუშურ - გლეხური წითელი არმიის ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიის სახელით, რომელსაც ლენინის ორდენი ჩაბარდა, გამოვიდა მისი მსმენელი კაპიტანი ი. ნ. ხარუთი.

შეკრებილნი გულთბილად მიეესალმნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახელოვან არტილერისტებს.

შემდეგ ორდენები მიიღო მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა ჯგუფმა, რომელნიც დაჯილდოებული არიან განსაკუთრებული წარმატებებისათვის საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში.

დაჯილდოებულთა შორის არის აგრეთვე უფროსი სამედიცინო დაე. ო. სინოვეცი და სამედიცინო და ა. ს. სემიკინა.

ორდენები ჩაბარეს აგრეთვე ყინულმჭრელების „რუსანოვისა" და „სადკოს" ყოფილ კაპიტანს, ამჟამად ჩრდილოეთის საზღვაო ოსტის მთავარსამმართველოს საზღვაო სამმართველოს უფროსის მოვალეობის აღმსრულებელს ა. კ. ბურკეს, უმცროს მეთაურს ს. პ. გუშჩინსა და სხვ.

მ. ი. კალინინმა მიულოცა დაჯილდოებულ ამხანაგებს. (საკადესი).

## ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲠᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲞᲠᲐᲰᲐ**, 18 ივლისი (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა შეუსუსტებელი ინტერესით ადევნებს თვალყურს რსფსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობას. დღეს გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ ინფორმაციას პირველი სესიის მესამე სხდომის შესახებ და მოჰყავთ სამანდატო კომისიის მოხსენებაში მოცემული დაწვრილებითი ცნობები უმაღლესი საბჭოს პარტიული, სოციალური და აწაკობრივი შემადგენლობის შესახებ. ფართოდ გავრცელებული მუშური გაზეთი „ვალო ნოვინი" აღნიშნავს, რომ რსფსრ უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატი არჩეულია როგორც კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, როგორც უმაღლესი საბჭოს ერთერთ შესანიშნავ თვისებას — დეპუტატთა ახალგაზრდა ასაკობრივ შემადგენლობას.

## ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲣᲐᲠᲰᲧᲝᲤᲡ

იაპონური წყაროებიდან ვრცელდება ცნობები, თითქოს 11 ივლისს 40-მდე წითელარმიელი შეიჭრა ჩენჩის ტბის დასავლეთით მდებარე რაიონში და დაიკავა ტერიტორია, რომელიც მანჯოუგოს ეკუთვნის. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საკადესს მიცემული აქვს რწმუნება განაცხადოს, რომ ზემოხსენებული ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება და რომ არცერთი წითელარმიელი საბჭოთა საზღვარზე არ გადასულა. იაპონიის საქმეთა რწმუნებულს, რომელმაც ამ საქმეზე მიმართა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, წარედგინა ხუნჩუნის 1869 წლის ხელშეკრულება და მასთან დართული რუკა, რომლებიც არავითარ ეჭვს არ სტოვებენ იმაში, რომ ხსენებული ტბა მთლიანად საბჭოთა ტერიტორიაზე მდებარეობს და, რომ, ამრიგად საბჭოთა კავშირის მხრით საზღვარის არავითარ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲜᲯᲘᲩᲔᲩᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲘ ᲒᲐᲫᲠᲘᲔᲠᲔᲑᲐ

**ᲞᲠᲐᲰᲐ**, 17 ივლისი (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა აღნიშნავს თავისი თავხედობით უმაგალითო ანტიჩეხოსლოვაკურ კამპანიას, რომელიც ფაშისტური გერმანიის პრესამ გაშალა და რომელიც, კერძოდ, ბლომად შეიცავს ჭორებს „ჩეხოსლოვაკიის არმიის მობილიზაციაზე", „არეულობაზე ჩეხოსლოვაკიაში", „სუდეტის გერმანელთა შეიარაღებაზე" და სხვ.

ჩეხი სოციალისტების პარტიის ცენტრალური ორგანო „ჩესკე სლოვო" სწერს: „წასასიანება და ჭორები გამომდინარეობენ არა მარტო „მესამე იმპერიიდან", არამედ აგრეთვე უნგრეთიდან, პოლონეთის მთავრობის გაზეთებიდან, იტალიიდან და ყოველი მხრიდან, სადაც კი ფაშისტურ სვასტიკას მეგობრები ჯერ კიდევ ჰყავს". გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიაში გავრცელებული სიცრუე მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს ჩეხოსლოვაკიაზე, რათა ჰენლაინის პარტიამ მაქსიმალური დათმობანი მიიღოს, და აცხადებს, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა იმდენად გულუბრყვილო არ არის, რომ ამ ანკეტზე წამოეგოსო.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „ლიდოვე ნოვინი" უარჰყოფს გერმანული პრესის მიერ გავრცელებულ სიცრუეს ახალი მობილიზაციის შესახებ ჩეხოსლოვაკიაში და ამ სიცრუეს სთვლის ტაქტიკურ მანევრად, რაც დაკავშირებულია ახალ დიდ პროვოკაციასთან, რომელსაც ფაშისტური გერმანია ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ამზადებს.

## ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო შრომითი შემახვეული სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობით, 18 ივლისს ღამის 12 საათისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სესხი გავრცელებული იყო 98.520.000 მანეთის როოდენობით. აქედან ქალაქად გავრცელებული იყო 82.636.000 მანეთისა და სოფლად 15.884.000 მანეთის სესხი.

ამავე დროისათვის აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში გავრცელებული იყო 8.861.000 მან., აჭარის ასსრ რესპუბლიკაში—6.884.000 მან. და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—1.597.000 მან.

19 ივლისს, დღის 4 საათისათვის შეჯამებული ცნობების მიხედვით თბილისში სესხზე ხელი მოაწერა სულ 174,052 მშრომელმა 37.196.315 მანეთზე.

რაიონების მიხედვით ყველაზე დიდ თანხას იძლევა ორჯონიკიძის რაიონი, სადაც ხელმოწერილია 9.351.860 მანეთზე, შემდეგ მიდის სტალინის რაიონი—9.042.465 მან., კიროვის რაიონი—7.878.715 მან., ლენინის რაიონი—6.293.905 მან. და 26 კომისრის რაიონი—4.629.370 შან.

ხელის მოწერა გრძელდება.

## ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

Სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალთა მმართველებისა და ბანკის მუშაკების რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც 15 ივლისს გაიხსნა, მუშაობა დაამთავრა.

ამ თათბირზე მოხსენებებით გამოსულმა ბანკის რაიონული ფილიალების წარმომადგენლებმა აღნიშნეს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მათ საკასო გეგმების, საქონელბრუნვის და ნავაჭრის ამოღების გეგმების შესრულებაში. ამ გეგმების შესრულებაში, როგორც თათბირზე გამოირკვა, განსაკუთრებით ჩამორჩენენ აღბულაღისა და ბოგდანოვკის ფილიალები. სხვებზე უკეთ მუშაობენ ბაღდათის, ახალქალაქის და გურჯაანის ფილიალები.

თათბირმა შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი საკასო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად და საერთოდ ბანკის ფილიალების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკურმა თათბირმა პასუხისმგებლობა ფილიალთა მმართველებს დააკისრა.

# სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოში

ივლისის პირველ ნახევარში ეკონომიურმა საბჭომ განიხილა მთელი რიგი მიმდინარე სამეურნეო საკითხები და მიიღო სათანადო გადწყვეტილებანი მათ შესახებ.

ეკონომიურმა საბჭომ განიხილა **საკითხი 1938 წლის III კვარტალში ავტორეზინის რემონტის მოწყობის შესახებ.**

წლის პირველ ნახევარში რეზინის მრეწველობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ავტოსაბურავების რემონტის საქმის უგულებელყოფასთან დაკავშირებით ამჟამად ავტორეზინის მხრივ დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა მთელ რიგ ოლქებსა და მხარეებში. რადგან მთელი რიგი ოლქები და მხარეები უკვე შეუდგნენ მოსავლის აღებას, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ავტოპარკის რეზინით უზრუნველყოფის ამოცანას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომლის გამგებლობაშიც ამჟამად მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის სისტემიდან გადაცემულია რეზინის მრეწველობა, და ეკონომიური საბჭო იღებენ ზომებს რეზინის მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამასთან ერთად ეკონომიურმა საბჭომ აღნიშნა, რომ ავტორეზინაზე მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ავტოსაბურავების რემონტის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ამ საქმეს ბოლო დრომდე საკმაო ყურადღება არ ექცეოდა. მთავრობის პროგრამა ავტოსაბურავთა 1938 წლის პირველ ნახევრის რემონტისა ჩაშლილია: სსრკ მიწსახკომმა ავტოსაბურავთა რემონტის გეგმა შეასრულა 15 პროცენტით; სსრკ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატმა—30 პროცენტით და „გლავრეზინამ" — 73 პროცენტით.

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კონტროლის კომისიას გამოიკვლიოს ავტოსაბურავთა რემონტის გეგმის ჩაშლის მიზეზები და პასუხისგებაში მისცეს ამაში დამნაშავენი.

„გლავრეზინას" წინადადება მიეცა ივლისის განმავლობაში დაახარისხოს მის ბაზებში არსებული მთელი, განსაახლებლად ვარგისი ძველი ავტორეზინა.

ავტოკამერების რემონტის უზრუნველსაყოფად ეკონომიურმა საბჭომ დაავალა „გლავრეზინას" დაამზადოს 1938 წლის III კვარტალის განმავლობაში 100.000 ეგრეთწოდებული ავტოაფთიაქი და მთლიანად გადასცეს ისინი სოფლის მეურნეობის ავტოპარკის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1938 წელს მოაწყოს 13 ახალი შინის - სარემონტო სახელოსნო. სახელოსნები ეწყობა შემდეგ ქალაქებში: სტალინგრადში, ყაზანში, ფრუნზეში, ოდესაში, გიორგიევსკში, ირკუტსკში, ომსკში, ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკში, არხანგელსკში, სვერდლოვსკში, ალმა-ატასა და დნეპროპეტროვსკში.

ავტოსაბურავთა რემონტის საქმის უკეთ მოწყობის მიზნით ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადააკეთოს მის სისტემაში არსებული შინის - სარემონტო კანტორა სრულიად-საკავშირო შინის - სარემონტო ტრესტად და დააკისროს ამ ტრესტს შინის - სარემონტო საქმის ტექნიკური ხელმძღვანელობა მთელ საბჭოთა კავშირში, ყველა ორგანიზაციისა და უწყების შინის-სარემონტო სახელოსნოების მომარაგება ნედლეულით, მოწყობილობითა და მასალებით.

ეკონომიურმა საბჭომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოთა თავმჯდომარეების, აგრეთვე სამხარეო (საოლქო) აღმასკომთა თავმჯდომარეების ყურადღება მიიქცია იმას, **რომ საჭიროა** მიღებულ იქნას ადგილზე მთელი რიგი სასწრაფო ზომები, რათა გეგმით გამოყოფილი ავტორეზინა დაზოგვითა და სწორად იქნას გამოყენებული, აგრეთვე რათა დაუყოვნებლივ ლიკვიდირებულ იქნას ძველი ავტორეზინის რემონტის მივიწყება. ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო, რათა მესამე კვარტალში ახალ ავტოსაბურავთა მიღების დროს მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარემონტოდ და ადგილობრივ გამოსაყენებლად დატოვებულ **იქნას მთელი** ძველი ავტორეზინა. გარდა ამისა, მიღებულია ზომები, რათა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა შინის - სარემონტო სახელოსნო სავსებით იქნას უზრუნველყოფილი ნედლეულითა და მასალებით.

ეკონომიურმა საბჭომ განიხილა სსრკ ვაჭრობის სახალხო **კომისარიატის სავაჭრო ორგანიზაციებისა** და ადგილობრივი სავაჭრო **ორგანიზაციების ფინანსიური მდგომარეობის** საკითხი.

1937 წელს დაგროვებათა გეგმა სავაჭრო ორგანიზაციების ხაზით ჩაიშალა. მრავალმა სავაჭრო ორგანიზაციამ გეგმით დაპროექტებული მოგების ნაცვლად ზარალი ნახა.

არადამაკმაყოფილებლადაა საქმე **რსფსრ სავაჭრო ორგანიზაციებში.** 1937 წლის განმავლობაში როსტოვის ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებმა იზარალეს 1.895 ათასი მანეთი. კრასნოდარის მხარის სავაჭრო ორგანიზაციებმა—2.147 ათასი მანეთი, ლენინგრადის ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებმა—13 მილიონი მანეთი.

საკავშირო ქვემდებარების სავაჭრო ორგანიზაციათა შორის განსაკუთრებით ცუდად მუშაობდა სასადილოების მთავარი სამმართველო.

სავაჭრო ორგანიზაციათა ფინანსიური გეგმის სრულიად არადამაკმაყოფილებელი შესრულება იმით აიხსნება, რომ სავაჭრო სისტემაში ადგილი აქვს საქონლის მტაცებლობასა და გაფუჭებას, მფლანგველობას, რაც 1937 წელს ზოგიერთ მხარესა და ოლქში ათეულ მილიონ მანეთს შეადგენდა, აგრეთვე აიხსნება მიმოქცევის გეგმისათვის დაწესებული ხარჯების მნიშვნელოვანი გადამეტებით.

ეკონომიურმა საბჭომ არასწორად სცნო სსრ კავშირის ფინანსხკომისა და სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინადადება სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების დიდი ზარალის სახელმწიფო ხარჯზე დაფარვის შესახებ ისე, თუ სერიოზული ლონისძიება არ იქნა გატარებული სავაჭრო ორგანიზაციებში ზარალისა და გაფლანგვების ლიკვიდაციისათვის და მათი სამეურნეო და საფინანსო ნამდვილი გაჯანსაღებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ეკონომიურმა საბჭომ გააფრთხილა მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოები, რომ იგი მსგავს საკითხებს არ განიხილავს, თუ არ ექნა საკმაოდ დამაჯერებელი ცნობები იმის შესახებ, რომ მათ მიერ მიღებულია სერიოზული ზომები ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებისა, შემოწმებული კადრებით მათი განმტკიცებისა, მავნებლებისაგან გაწმენდისა, საქონლით მოსახლეობის უკეთ მომარაგებისა, გაფლანგვების არდაშვებისა და უყაირათობაში დამნაშავე პირთა დასჯისათვის.

ეკონომიურმა საბჭომ მიუთითა სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს სრულ უმოქმედობაზე სავაჭრო ორგანიზაციების ზარალის ლიკვიდაციის დარგში და გააფრთხილა ასეთი მდგომარეობის დაუშვებლობის შესახებ მომავალში.

ეკონომიურმა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მეტი ყურადღებით გაერკვეს საკავშირო სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში და აგრეთვე უკრაინის, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკების ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში და ამ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებთან ერთად მიიღოს საჭირო ღონისძიებანი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა აგრეთვე რუსეთის სფსრ, ბელორუსიის სსრ და სომხეთის სსრ სახკომსაბჭოებს ყურადღებით გაერკვნენ თავიანთი რესპუბლიკების სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში და ადგილობრივ გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი მუშაობის სერიოზულად გაუმჯობესებისათვის.

ეკონომიური საბჭოს დავალებით საბჭოთა კონტროლის კომისიამ შეამოწმა **მოსავაჭრობის ბაზების მუშაობა.** შემოწმებამ დაადასტურა, რომ მოსავაჭრობის სავაჭრო ბაზებსა და საწყობებში ინახება გაუსავლიანი და ზედმეტი საქონლის დიდძალი რაოდენობა.

ჟურჟლისა და საოჯახო საქონლის ნაშთი პირველი ივლისისათვის მოსავაჭრობის საბითუმო და საცალო რგოლში 12.000.000 მანეთის ჯამს შეადგენს.

კულტსაქონლის ბაზაში აღმოჩნდა 1,7 მილიონ მანეთის ჩაწოლილი საქონელი, როდესაც საქონლის მარაგის საერთო ჯამი 2,8 მილიონ მანეთს უდრის.

საგალანტერეო-სატრიკოტაჟო ბაზაში საქონლის ნაშთის ჯამი უდრის დაახლოებით ორ მილიონ მანეთს. იმ მაღაზიის ბაზებში, რომელიც სტანდარტული ფასების მიხედვით ვაჭრობს, აღმოჩნდა 1 მილიონი მანეთის ისეთი საქონელი, რომელიც მოსაზრისათვის საჭირო არაა.

მოსავაჭრობის ბაზების უყაირათო მდგომარეობა იმისი შედეგია, რომ საქონლის შეკვეთა და შესყიდვა ხდება მოსავაჭრობის მეორეხარისხოვანი პირებისა და უპასუხისმგებლო წარმომადგენლების მიერ ცალკეულ ქალაქებში.

ეკონომიურმა საბჭომ, განიხილა რა ეს საკითხი, წინადადება მისცა სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, პასუხისგებაში მისცეს ის პირნი, ვინც პირდაპირი დამნაშავეა მოსავაჭრობის ბაზებში საქონლის ჩაწოლასა და გაფუჭებაში: ჟურჟლისა და საოჯახო საქონლის ბაზის დირექტორი ამხ. სიმონოვიჩი, კულტსაქონლის ბაზის დირექტორი ამხ. გლეიხი, მოსავაჭრობის ლენინგრადის შემსყიდველი კანტორის დირექტორი ამხ. მორდუხოვსკი და მოსავაჭრობის კომერციული დირექტორი ამხ. ხელემსკი, და აგრეთვე სხვა მუშაკები, რომლებიც დამნაშავენი არიან დაშვებულ უყაირათობაში.

ეკონომიურმა საბჭომ დაავალა სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში გადასინჯოს მოსავაჭრობის საქონლის მთელი ნაშთი და სხვა რაიონებში გასასალიბლად გადაგზავნოს ის საქონელი, რომელიც მოსკოვის ბაზარზე ვერ საღდება.

ეკონომიურმა საბჭომ, განიხილა რა საკითხი **1938 წლის III კვარტალში ხორცის ჩაბარების გეგმის შესახებ,** აღნიშნა განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ხორცის ჩაბარების ხაზით თათრეთის, ჩუვაშეთისა და უდმურტის ასსრ რესპუბლიკებში და ვოლოგდის, ლენინგრადის, იაროსლავლის, კიროვის, კუიბიშევის, ტამბოვის, კურსკის და სვერდლოვსკის ოლქებში.

ხორცის ჩაბარების გეგმის არადამაკმაყოფილებელი შესრულება აიხსნება დამზადებათა სახალხო კომისარიატის ცუდი მუშაობით, აგრეთვე იმით, რომ რაიაღმასკომები და სოფლსაბჭოები ბევრ შემთხვევაში აქტიურად არ უწყობდნენ ხელს პირუტყვის დამზადების საქმეს.

ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად ეკონომიურმა საბჭომ დაავალა დამზადებათა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებსა და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს გაატარონ მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი ამ საქმის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, მოახდინონ ყველა საკოლმეურნეო კომლისა და ერთპიროვნული მეურნეობის მიერ ვალდებულებათა შესრულების მთლიანი შემოწმება, დააწესონ ივლისისათვის დეკადური დავალებანი ნარჩენთა გადასახდევინებლად და სხვ.

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კონტროლის კომისიას არაუგვიანეს 15 აგვისტოსი საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს სხდომაზე გამოიწვიოს ანგარიშების წარმოსადგენად სამხარეო (საოლქო) აღმასკომების ის თავმჯდომარეები და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულები, რომელნიც 1 აგვისტოსათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ვერ უზრუნველჰყოფენ ხორცის ჩაბარების საქმის ძირფესვიანად გაუმჯობესებას.

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი **გეგმა სახელოსნოების მოწყობისა ბურთულ - გორგოლაჭიანი საკისარების შესაკეთებლად.**

იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ბურთულ-გორგოლაჭიანი საკისარების დიდი მოთხოვნილებაა, მათი რემონტის მოწყობას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

1938 წელს სახელოსნოები მოეწყობა ტამბოვში, მინსკში, ხარკოვში, როსტოვში, კუიბიშევში, ირკუტსკში, ნოვოსიბირსკში, ალმა-ატაში, ტაშკენტსა და ბაქოში. ყველა მხარე და ოლქი მიემაგრება განსაზღვრულ სახელოსნოს.

თვითეული სარემონტო სახელოსნოს საწარმოო სიმძლავრე განსაზღვრულია 80.000—100.000 საკისარით წელიწადში.

ეკონომიურმა საბჭომ დაავალა მიწსახკომსა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს მისცენ მითითება თავიანთ საწარმოებს რათა გაცვეთილი საკისარები აუცილებლად ჩაბარონ „გლავავტოტრაქტორ-დეტალის" პუნქტებს.

მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს („გლავავტოტრაქტორდეტალს") წინადადება მიეცა თავისი ვამსაღებელი ქსელის საშუალებით მოაწყოს გაცვეთილი საკისარების შეგროვება, ამასთან მათს ჩამბარებელს ცალობრივ მიეცეს სასყიდელი ახალი საკისარის ღირებულების 7-10 პროცენტის ანგარიშით, მისი ტიპის მიხედვით.

ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს მისცეს მომხმარებლებს შეკეთებული საკისარები მათთვის გეგმით გამოყოფილი ფონდების გადამეტებით. (საკდესი).

# უხვი მოსავალი დროულად და უდანაკარგოდ ავიღოთ

## მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებამ ბრწყინვალე შედეგები მოგვცა

**მახარაძე,** (საკდესი). მახარაძის რაიონის კოლმეურნეები დაწვრილებით გაეცნენ გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალას ცნობილი სტახანოველების უმა ახუბას, ცაცა ქარდავასა და დუშა ქვაჩახიას გამოცდილების შესახებ.

ჩაის სახელოვან ოსტატთა გამოცდილების დასანერგავად გურიის კოლმეურნეობებში, პირველი და საინტერესო ნაბიჯები გადასდგა ნატანების ლ. ბერიას სახელობის მილიონერმა კოლმეურნეობამ. ამ კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის 18 წლის სტახანოველმა მკრეფავმა დარეჯან ტაკიძემ, რომელიც ახუბას, ქარდავასა და ქვაჩახიას გამოცდილების შესწავლამდე მხოლოდ 50-60 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფდა, 19 ივნისს მოჰკრიფა 127 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი და რეკორდი დაამყარა გურიაში.

ამხ. ც. ქარდავამ ამხ. დ. ტაკიძეს გამოუგზავნა თავისი გამოგონილი კალათი და კალათთან ერთად ნატანების კოლმეურნეობის ახალგაზრდა სტახანოველს ასეთი ბარათი მისწერა:

„სტახანოვური სალამი ამხ. დ. ტაკიძეს!

ძალზე დამაინტერესა და სასიხარულო შეიქმნა ჩემთვის თქვენი ინიციატივა ამ ახალი ტიპის კალათის შეძენისათვის. გიგზავნი ჩემს საკუთარ კალათს, რომელსაც ორი წელიწადია ვატარებ ჩაის პლანტაციებზე. გისურვებ მეტ წარმატებას, როგორც ამას მოითხოვს სტახანოვური მეთოდის უმაღლეს წერტილზე აყვანა. ვეცდები ადგილობრივ გინახულო და დაწვრილებით გაგაცნო ის მეთოდები, რომლითაც მე მაღალ მარჩენებლებს მივაღწიე ჩაის კრეფის დარგში. მაგრად გართმევ ხელს. კალათის მიღება მაცნობე.

სოფ. კოჩარა, ოჩამჩირის რაიონი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

**ც. ქარდავა".**

ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის ლობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავმა ქალებმა მოიწონეს ც. ქარდავას მიერ გამოგონილი საკრეფი კალათი. ამ სამგანყოფილებიანი კალათის საშუალებით მკრეფავს შეუძლია ერთდაიმავე დროს ჭკრიფოს სამივე ხარისხის ჩაის ფოთოლი. ბუჩქიდან ბუჩქზე კალათის გადატანაზე დრო არ იკარგება, რადგანაც კალათი მკრეფავს წელზე ჰკიდია.

გამოცდილების გადმონერგვის საფუძველზე იზრდება სტახანოველთა რიგები. დ. ტაკიძეს დღეს გვერდს უმშვენებს ნატანების კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის სტახანოველი კატო ნინიძე ყოველდღიურად ჰკრეფს 178 კილოგრამს, კომკავშირელი თინა ბაქანიძე — 188 კილოგრამს, № 11 ბრიგადის წევრი, კომკავშირელი ნადია მახარაძე — 200 კილოგრამს, 14 წლის ქეთო ზოიძე დღეში ჰკრეფს 105 კილოგრამს.

4 ივლისიდან ჯერ კიდევ, როგორც ნატანების კოლმეურნეობაში, ისე მთელს რაიონში პირველობა № 11 ბრიგადის სტახანოველ ქალს ლიზა ხურციძეს ეკუთვნის. ლიზა დღიურად 204 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს, დღიურად იმუშავებს 13,5 შრომადღეს.

მუშაობაში მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით ნატანების კოლმეურნეობამ ივლისის პირველ დეკადაში ჩაის კრეფის გეგმა 33,9 პროცენტით შეასრულა. 207563 კილოგრამი თეიური დავალებიდან შოკრიფა 70424 კილოგრამი.

რაიონის დანარჩენ კოლმეურნეობებში მხოლოდ გაიცვნეს ოჩამჩირელ მოწინავე მკრეფავ ქალთა მეთოდები, სინამდვილეში კი არ ატარებენ მას ცხოვრებაში. ბევრ კოლმეურნეობაში არასწორადაა დაყენებული შრომის ორგანიზაცია. ხვარბეთის კოლმეურნეობაში ივლისში უხდა მოიკრიფოს 66483 კილოგრამი ჩაი, 10 ივლისისათვის მოკრეფილი ჰქონდათ მხოლოდ 16767,3 კილოგრამი (გეგმის 25,2 პროც.). რით არის გამოწვეული ეს ჩამორჩენა? ამ კითხვაზე ხვარბეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლევან ცერცვაძე გვიპასუხებს: ჩაი არ არის შემოსული საკრეფადო. მაგრამ სინამდვილე სულ სხვას ამბობს. ამ კოლმეურნეობის „მოცვნარას" ფართობში 6 ივლისს იყო ჩაის ფოთოლი მოზღვავებული საკრეფად, იგი უხეშდებოდა. ნაცვლად იმისა, რომ ყველა მკრეფავი და მოზარდებიც გამოეყვანათ ამ ფართობში სამუშაოდ, მხოლოდ 4 მკრეფავი მუშაობდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო № 4 ბრიგადის ფართობში. მზგავსი მდგომარეობაა მთისპირისა და ასკანის კოლმეურნეობებში, ამიტომაც არის, რომ პირველი დეკადის გეგმა მათ მხოლოდ 16-19 პროცენტით აქვთ შესრულებული. ივლისის გეგმა, პირველ ათდღიურში რაიონში შესრულებულია 30,2 პროცენტით, 2576186 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 778.223,4 კილოგრამი.

მახარაძის რაიონიდან წელს ჩვენი ქვეყანა ელის 8 მილიონ კილოგრამზე მეტ ჩაის ხარისხოვან ფოთოლს, 2 მილიონ კილოგრამით მეტს შარშანდელზე. ეს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ მახარაძის რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებს.

# კომბაინერის უბის წიგნაკიდან

(ფოთელწყაროს, საკ. კოლმეურნეობიანებისაგან)

შირაქის ველზე ორმოცამდე კომბაინი მუშაობს. ფოთელ-წყაროს კომბაინერთა შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვასილ ბურცოვმა. ბურცოვი შვიდი წელია კომბაინზე მუშაობს და მას ამ მანქანის მართვაში მდიდარი გამოცდილება აქვს. იგი ამჟამად გულშირაქის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომის" მოსავლის აღებაზე მუშაობს.

ადგილზე ვეცნობით ვასილ ბურცოვის მუშაობას. თვალწარმტაცია შირაქის მიდამოები. გულშირაქის უზარმაზარი ველი ოქროსფერი თავთებით დახუნძულა. ყოველი მხრიდან მოისმის ტრაქტორთა გუგუნი.

— აი ვასილ ბურცოვიც, — ტანმაღალი, პირხმელი კაცი. ის ერთი ტრაქტორით ორ კომბაინს ამუშავებს. დასვენებისას ვთხოვეთ მას ეამბნა თავისი მუშაობის შესახებ. მას სახე სიხარულმა გაუბრწყინა. გადმოგვცა უბის წიგნაკი. მასში ჩაწერილია სიმართლე ბურცოვის აგრეგატის მუშაობაზე. აი მისი შინაარსი:

**23 ივნისი:** წელს სეზონის განმავლობაში მოსავალი უნდა აიღოს 670 ჰექტარზე. ამას ჩემი საუცხოო აგრეგატით შევასრულებ. ვამუშავებ ორ კომბაინს № 34 და № 35. მოსავალი დღეს 20 ჰექტარზე ავიღე.

**24 ივნისი.** კომბაინები საათივით მუშაობს. საუცხოო ტრაქტორისტია ამხ. ნიკონოვი. იგი ერთგული და შრომის მოყვარეა. დღეს მოსავალი 28 ჰექტარზე ავიღეთ.

**26 ივნისი.** გუშინ 20 ჰექტ., ხოლო დღეს 31 ჰექტარზე ავიღეთ მოსავალი. მუშაობის ტემპებს ვაძლიერებთ.

**8 ივლისი:** 27 ივნისიდან 6 ივლისამდე ჩვენმა აგრეგატმა მოსავალი აიღო 194 ჰექტარზე, ნაცვლად 165 ჰექტარისა. არ ყოფილა კომბაინის გაჩერების არცერთი შემთხვევა. აგრეგატი დაძაბულად მუშაობს. ყველაფერი რიგზეა. გუშინ კი დღე-ღამის განმავლობაში მოსავალი 54 ჰექტარზე ავიღეთ.

წიგნაკი ყოველდღიური ასეთი ჩანაწერითაა თითქმის სავსე. ამხ. ბურცოვი აღნიშნავს აგრეთვე, რომ უბის წიგნაკის შემოღების ინიციატივა აღმრიცხველ ამხ. ილია ზურიაშვილს ეკუთვნის. ბურცოვის შემწეობით ორი კომბაინერის ნაცვლად ერთი კომბაინერი მუშაობს და საუცხოოდ ართმევს თავს საქმეს, ორ კომბაინს ერთი ტრაქტორი ეწევა, ნაცვლად ორისა. ამის გამო, ვღებულობთ ერთი ტრაქტორისა და ერთი აღმრიცხველის უკონომიას. მიღწეულია საწვავის ეკონომიაც, მაგალითად, 23 ივნისიდან 1 ივლისამდე უნდა დახარჯულიყო 1674 კილოგრამი საწვავი, ფაქტიურად დახარჯულია 1072 კილოგრამი.

ამხ. ბურცოვს ამჟამად მოსავალი აღებული აქვს 450 ჰექტარზე. ვასილ ბურცოვის აგრეგატი სწრაფად მუშაობს. ამხ. ბურცოვმა მანქანები სავსებით დაიმორჩილა, იცის მათი ავი და კარგი. კომბაინისა და ტრაქტორის ყოველ ნაწილს თვალისჩინივით უფრთხილდება. სტალინური 7-8 მილიარდი ფუთი პურის აღებისათვის ბრძოლაში თვითეული ტრაქტორი და კომბაინი სათანადო ყურადღებით და მზრუნველობითაა ჩაბმული.

საღამოვდება. ვემშვიდობებით მინდვრად მომუშავე სახელოვან ოსტატებს. ჭეშმარიტად, გულშირაქის საკოლმეურნეო მინდვრებიდან უხვი მოსავალი მოდის.

**ს. ყურაშვილი.**

**ა. ერლიხი**

# ფელიქს ძერჟინსკი

დაცულია კოვნოს გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფის ფელიქს ძერჟინსკის პორტრეტი: სუფთა და ჭკაცრა სახე, ღრმა და დაკვირვებული გამოხედვა.

ჭაბუკი 17 წლისა იყო. თეთრ საპარადო ღილებიანი ფორმის სერთუკი ჰფარავდა სავსებით მომწიფებულ, გარკვეული პოლიტიკური შეგნების მქონე ადამიანს: ამ დროს იგი უკვე იყო ლიტვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტიური წევრი.

უკვე 17 წლის ჭაბუკმა ფელიქსმა საბოლოოდ და მტკიცედ აირჩია თავისთვის რევოლუციონერის ძნელი გზა. იგი, შთაგონებული აგიტატორი, ასწავლიდა სხვებს ებრძოლათ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც სხვებს ურჯეველად, მტკიცედ, ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულად ეჩვენებოდათ. იგი ესწრებოდა მუშათა საღამოებს, წრეებს, მთელ საათებს ატარებდა ტრაქტირებში, ახერხებდა სახელოსნოებში შესვლას, იყო ხოლმე ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა მუშათა მასასთან ურთიერთობა. მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, მან მალე მოიპოვა თავისი პარტიული ამხანაგების ღრმა ნდობა. მას სულ უფრო რთულ და უფრო პასუხსაგებ დავალებებს აძლევდნენ. 20 წლის ფელიქსი უკვე ხელმძღვანელობდა გაფიცვას კოვნოში და იმავე ასაკისა იგი პირველად გაეცნო ჟანდარმებს, საპყრობილეებსა და გადასახლებას.

ამ დროიდან საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი ცხოვრების ხასიათი. საპყრობილიდან განთავისუფლებისა ან შორეული გადასახლებიდან მორიგი გაქცევის შემდეგ იგი შაშინვე ანახლებდა პარტიულ საქმიანობას თავისი ქვეყნის ფარგლებში ან საზღვარგარეთ. იყო ხოლმე გრძელი პერიოდები, როდესაც მას ავიწყდებოდა თავისი სახელი და ეჩვეოდა ახალ სახელებს ან პარტიულ სახელწოდებებს: იაეკკი, ასტრონომი, ფრანკი, იუზეფი. იგი ჰქმნიდა პარტიულ ორგანიზაციებს, მუშათა მასებში გულმოდგინედ ზრდიდა რევოლუციურ გრძნობებს, თავგამოდებით ებრძოდა ნაციონალურ შეზღუდულობას. მას კვლავ ათავსებდნენ საპყრობილეში. კვლავ ჰგზავნიდნენ გადასახლებაში. და იგი კვლავ გაიქცეოდა ‘ ხოლმე იქიდან. უკანასკნელად, მეექვსედ, ფელიქს ძერჟინსკის მიუსაჯეს 3 წლის, ხოლო შემდეგ დამატებით 6 წლის საკატორღო სამუშაო. მეფის მთავრობამ გაუხსენა მას მთელი რევოლუციური მოღვაწეობაც არაერთხელ გაქცევაც გადასახლებიდან.

იგი იჯდა მოსკოვის ცენტრალში თვით თებერვლის რევოლუციამდე. საპყრობილეებში წლობით ჯდომამ, პროფესიული რევოლუციონერის მკაცრმა, გაბერვებებითა და ნიფათით აღსავსე ცხოვრებამ ვერანაირად და ვერასოდეს ვერ შეასუსტა მისი ნებისყოფა გამარჯვებისადმი.

1917 წელს საკატორღო ცენტრალიდან რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ძერჟინსკი უკვე ის ძლავრი, ნაწრთობი მებრძოლი იყო, როგორადაც მან გამოიჩინა თავი ყველა მომდევნო წლებში, თავისი შესანიშნავი, სამუდამოდ სამახსოვრო საქმიანობის ყოველ ნაბიჯზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1917 წლიდან, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი ოქტომბრის ბრძოლათა გადამწყვეტ დღეებში, ძერჟინსკი ხდება სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის, კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საგანგებო ორგანოს, თავმჯდომარე და ორგანიზატორი.

ბურჟუაზიას საშინლად სძულდა ფელიქს ძერჟინსკი. თეთრგვარდიელები ქვეყნის შიგნით, საზღვარგარეთ გაქცეული მემამულეები, ბანკირები, მექარხნეები, მეფის მიურაკრატიის ნამსხვრევები, — საბჭოთა რუსეთის უკლებლივ ყველა მტრები ლანძღავდნენ ძერჟინსკის ყველაზე საშინელი სიტყვებით. რას ნიშნავდა ეს? ძერჟინსკის და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე სახელმწიფო პოლიტსამმართველოს რა თვისებათა დადასტურება იყო ბურჟუაზიის შმაგობა, მისი წყევლა-კრულვა და მისი სიძულვილი? ეს ყველაზე უკეთ გამოხატა ამხანაგმა სტალინმა: „რევოლუციის მოსისხლე მტრები ლანძღავენ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, — მაშასადამე, სახელმწიფო პოლიტსამმართველო მოქმედებს სწორად".

ლენინის ერთერთი საუკეთესო მოწაფე ძერჟინსკი ბურჟუაზიისათვის რისხვა და რევოლუციის თვალმოუხუჭავი გუშაგი იყო. ფელიქს ძერჟინსკი, რომლის ხელი და რომლის გული არასოდეს არ შემდრკალა, როდესაც საჭირო იყო მტრებთან ანგარიშის გასწორება, იმავე დროს უნაზესი სულის მქონე ადამიანი იყო.

მტრისადმი პრინციპული ლენინური შეურიგებლობა მასში შეერთებული იყო ასეთსავე დიდ ლენინურ სიყვარულთან ადამიანისადმი.

1902 წელს იგი გადასახლებიდან სწერდა თავის დას ალდონას:

„არ ვიცი, რათ მიყვარს ბავშვები ისე, როგორც არავინ სხვა... მე ვერასოდეს ვერ შევძლებდი ქალის შეყვარებას ისე, როგორც მიყვარს ისინი, და ვფიქრობ, რომ **საკუთარი** (ხაზგასმულია ფ. ე.-ს მიერ) ბავშვები არასოდეს არ შეყვარებოდა უფრო მეტად, ვიდრე არასაკუთარი... ხშირად, ხშირად მგონია, რომ დედასაც არ უყვარს ისე მხურვალედ, როგორც მე".

ადამიანისადმი მგზნებარე სიყვარული, ამალლებული, ჭეშმარიტად ბოლშევიკური, ჭეშმარიტად ჰუმანიური სიყვარული არასოდეს არ ასუსტებდა მასში შრომასა და ბრძოლაში პრინციპულ მომთხოვნელობას. იგი ზრდიდა ასეთსავე თვისებებს ყველა თავის მოვალეობანი თანამშრომლებსა და თანამშემწეებში.

განუწყვეტელი მოქმედების ადამიანი. იგი აღუწერს ცოლს თავის ცხოვრებას 1918 წელში, როგორც „ცხოვრებას ჯარისკაცისას, რომელსაც არა აქვს დასვენება, ვინაიდან საჭიროა ცეცხლწაკიდებული სახლის გადარჩენა. თავისიანებზე და საკუთარ თავზე ფიქრის დრო არ არის. მუშაობა და ბრძოლა ჯოჯოხეთურია. მაგრამ ჩემი გული ამ ბრძოლაში დარჩა ცოცხალი, ისეთივე, როგორიც წინათ იყო. მთელი ჩემი დრო—ეს არის განუწყვეტელი მოქმედება, რათა ბოლომდე ვიდგე საგუშაგოზე".

მის მიერ აღზრდილი ჩეკისტთა არმია—ეს არის მოწინავე პარტიელების, რევოლუციის დაუღალავი მებრძოლების არმია.

ჩეკისტი—მამაცობის, ურყევობის, სიმტკიცის, ურღვევი პარტიული პრინციპულობის, ენერგიის, თვალგამჭრახობისა და სიფხიზლის, ბალად ორგანიზატორულ ჩვევათა სინთეზი გახდა.

ჩეკისტი—ამაყად გაისმის. ბგერათა ამ შეზავებაში გამოხატულია თანადროულობის საუკეთესო ადამიანი, რომელმაც გაიარა ფელიქს ძერჟინსკის სკოლა რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში, რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

საუკეთესო ჩეკისტები სწავლობდნენ მასთან, ფელიქს ძერჟინსკისთან, და ისინი მას უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება

# მივიღოთ პარჯიაში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო აღამიანები

## გარდავქმნათ პარჯიული მუშაობა

(გურჯაანი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ამას წინათ ჩატარდა გურჯაანის რაიონის პარტიული აქტივის კრება. საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. გ. დარაშვილი.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა.

კრებაზე საქმიანი კრიტიკით გამოვიდა გურჯაანის რაიკომბინატის მმართველი ამხ. ვ. ანთიძე, რომელმაც აღნიშნა გურჯაანის აგურის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი.

ამხ. ვ. გოგიჩაშვილმა (რკინიგზის კვანძის პარტორგი) კრებას მოუთხრო, თუ როგორ ებრძვის გურჯაანის რკინიგზის კვანძის პარტიული ორგანიზაცია კვანძის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ვ. ბურკაძე (გურჯაანის რაიონის პროკურორი) ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება კოლმეურნეობიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ და აგრეთვე შეეხო რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩამორჩენის საკითხს.

სიტყვით გამოსული ამხანაგები მკაცრად აკრიტიკებდნენ გურჯაანის მტს-ის ხელმძღვანელთა მოუქნელ მუშაობას. გურჯაანის მტს სრულიად მოუმზადებელი შეხვდა მოსავლის აღების კამპანიას. მოსავლის ასაღები მანქანა-იარაღების რემონტის უხარისხოდ ჩატარების შედეგად სამუშაოდ გასული კომბაინები და სალეწები დღეში მხოლოდ 2-3 საათს მუშაობენ. მტს უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური კადრებით და სხვ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე: ბ. ფარსადანოვი (უანდაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ხ. კრაწაშვილი (სოფ. არაშენდას საბჭოს თავმჯდომარე), მ. ჭყონია (ხე-ტყის დამზადების მმართველი), ბეგაშვილი (შიბლიანის საბჭოს თავმჯდომარე), ა. მეტრეველი (კაპრეთის მტს-ის დირექტორი) და სხვ.

დასასრულ რაიონული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს ბოლშევიკების ყრილობის გადაწყვეტილებანი და მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის.

**ბ. სულაბერიძე**

## სწავლობენ ყრილობის გადაწყვეტილებებს

რამდენიმე დღის წინათ ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიონული პარტაქტივის კრება, მიძღვნილი საქართველოს ბოლშევიკების XI ყრილობის შედეგების განხილვისადმი.

კრებაზე საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგების შესახებ შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. პარმენ კორთხონჯია.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 8 ამხანაგმა.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ პირველადს პარტორგანიზაციებში არსებულ ნაკლოვანებებს და სახავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

კამათში გამოსულმა ამხ. შ. პაპავამ (აბაშის მტს-ის პარტორგანიზაციის პარტორგი) ილაპარაკა იმის შესახებ, რომ პარტრაიკომში და რაიაღმასკომში წინათ მოკალათებულმა, აწ უკვე გამომჟღავნებულმა ხალხის მტრებმა დიდი ზიანი მიაყენეს სოფლის მეურნეობას და კერძოდ კოლმეურნეობებში მესაქონლეობის განვითარებას; რაიონის პარტორგანიზაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა მავნებლობის შედეგების აღმოფხვრის საქმეში, მაგრამ ეს როდია საკმარისი. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა მავნებლობის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის.

ამხ. ბ. ელიავამ კრებას უამბო პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობის ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ საჭიროა პარტორგანიზაციებმა უფრო მეტად გაუწიონ ხელმძღვანელობა წრეებსა და სკოლებს, ამასთან პარტკაბინეტმა მეტი დახმარება უნდა გაუწიოს პროპაგანდისტებს.

კამათში გამოსულებმა ბ. ბაკურიამ, ი. შუბლაძემ, გრ. კიზირიამ და სხვებმა აღნიშნეს პარტიული მუშაობის დეფექტები რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში, აღნიშნეს, რომ სუსტია მუშაობა პარტწევრობის კანდიდატებთან, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არა დგას სათანადო სიმაღლეზე და სხვ.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც პარტაქტივმა ერთხმად მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის გადაწყვეტილებები და დასახა ღონისძიებანი მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ამჟამად რაიონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში მიმდინარეობს პარტიული კრებები ყრილობის შედეგების განსახილველად. პირველადს პარტორგანიზაციებზე დახმარების გასაწევად პარტაქტივიდან მიმაგრებულია 26 ამხანაგი.

**ჰ. ნადარეიშვილი**

## მეჯი ყურადღება პარჯიაში ახალ წევრთა მიღებას

(ვანი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ამჟამად ვანის რაიონში არის 18 პირველადი პარტორგანიზაცია 122 წევრით და 62 პარტიის წევრობის კანდიდატით.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეს და ამ მხრივ მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. 1937 წლის დეკემბრიდან დღემდე პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულია 125 კაცი, გადარიცხულია საქ. კ. პ. (ბ) წევრებად 7 კაცი. ეს ის ამხანაგებია, რომლებმაც ამათუიმ უბანზე თავი გამოიჩინეს, როგორც საუკეთესო მომუშავეებმა, რომლებიც ბოლომდე ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა.

მთელმა რიგმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა პარტიაში ახალ წევრთა მიღება ყურადღების ცენტრში დააყენეს და ამ საქმეში ერთგვარ წარმატებებსაც მიაღწიეს. მაგალითად, რაიაღმასკომთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ (ორგანიზატორი ამხ. ვ. სუპატაშვილი) დღემდე პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო 28 კაცი, საკ. კ. პ. (ბ) წევრებად გადარიცხა ორი კაცი; გაღმა შუამთის კოლმეურნეობასთან „გზა სოციალიზმისაკენ“ არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ (ორგანიზატორი ამხ. შ. ნაფეტვარიძე) პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო 19 კაცი, საკ. კ. პ. (ბ) წევრებად გადარიცხა ოთხი კაცი; სალხინოს ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ (ორგანიზატორი ამხ. ი. სვანიძე) პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო 8 კაცი, საკ. კ. პ. (ბ) წევრად გადარიცხა ორი კაცი და ა. შ.

მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას რაიონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციაზე. არიან მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეს. ისინი პარტიული მუშაობის ამ ფრიად სერიოზულ დარგს სასხვათაშორისო საქმედ სთვლიან. მაგალითად, საგრენაჟო ქარხანასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ (ორგანიზატორი ამხ. გოგორიშვილი) 1936 წლის ნოემბრიდან დღემდე პარტიაში მხოლოდ ორი ამხანაგი მიიღო. ეს გამოწვეულია პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობით. აქ ბევრია ისეთი კომკავშირელი, რომელთა მიღება პარტიის რიგებში შეიძლება, მაგრამ პირველადი პარტორგანიზაცია და კომკავშირის პირველადი ორგანიზაცია სუსტად მუშაობენ პარტიის რიგებში მისაღებად კომკავშირელთა მომზადებისათვის. ამ ორგანიზაციასთან 1936 წელს არსებობდა თანამგრძნობთა ჯგუფი, რომელიც ზოგიერთი ამხანაგის სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო დაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ აქ მრავალია ისეთი ამხანაგი, რომელთა მიღება თანამგრძნობთა ჯგუფში შეიძლება, პირველადს პარტორგანიზაციას დღემდე არ უფიქრია თანამგრძნობთა ჯგუფის შექმნაზე.

უკეთესი მდგომარეობა არც მტს-ის პირველადს პარტორგანიზაციაშია (ორგანიზატორი გ. ლევიძე). მტს-ში 45 ტრაქტორისტია, სამი ხელოსანი—ტრაქტორის რემონტზე მომუშავე. პარტიის რიგებში მიღებულია მხოლოდ სამი კაცი და საკ. კ. პ. (ბ) წევრად გადარიცხულია ერთი კაცი. წელიწადნახევრის განმავლობაში პარტიაში მხოლოდ სამი ამხანაგის მიღება შესძლეს. ასეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გამოწვეულია პირველადი პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობით. ყურადღება არ ექცევა ტრაქტორისტთა შორის პოლიტმასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე აყვანას. განა პარტიის რეზერვი არ არის 45 ტრაქტორისტი, 14 კომკავშირელი და სხვა ამხანაგები, რომელნიც მტს-ში მუშაობენ? არიან, მაგრამ საჭიროა მათთან მუშაობა, მათი მომზადება პარტიაში მისაღებად.

დროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობა და პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმე ყურადღების ცენტრში დავაყენოთ.

**ნ. თვალაბეიშვილი.**

## ბოგდანოვკის რაიონის პარჯიული აქტივის კრება

ამას წინათ შესდგა საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი ბოგდანოვკის რაიონის პარტიული აქტივის კრება. მოხსენებით ყრილობის შედეგების შესახებ გამოვიდა პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ჰაიკ დანელიანი. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა 16 კაცი.

—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა, — ლაპარაკობს სოფელ განძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კარაპეტ დურგარიანი,—ჩვენ ჩავატარეთ დიდი მუშაობა ხალხის მტრების, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების გამომჟღავნებისა და განადგურების საქმეში.

კოლმეურნე მიქაელ მელქუმოვმა კრების ყურადღება მიაქცია რაიონში მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

სოფელ ხოჯაბეკის პარტორგმა ილეენო პუტულიანმა აღნიშნა სუსტი მუშაობა თანამგრძნობებთან.

კამათში გამოსულები კისრულობდნენ ვალდებულებას ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ხაზით.

მიღებულ რეზოლუციაში კრებამ მოიწონა საქართველოს კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებანი და დასახა ღონისძიებანი მუშაობის გასაშლელად ამ გადაწყვეტილებათა შესწავლისა და შესრულებისათვის.

## გავაძლიეროთ მუშაობა ბოღშევიზმის დაუფლებისათვის

(ქედა, საკ. კორესპონდენტისაგან)

ქედის რაიონულ პარტიულ კრებაზე, რომელიც კომუნისტთა დიდი აქტივობით ჩატარდა, საქართველოს ბოლშევიკების XI ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქედის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ხელაძე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 12 ამხანაგმა. მოკამათეები, აღნიშნავდნენ რა იმ მიღწევებს, რომლებიც რაიონის პარტორგანიზაციას მოპოვებული აქვს მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციის, საბოტაჟი და პარტმასობრივი მუშაობის გარდაქმნის, ახალი კადრების დაწინაურებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერების საქმეში, აგრეთვე ლაპარაკობდნენ მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ახასიათებენ პარტორგანიზაციების მუშაობას.

ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციაში დაიგიწყეს პარტიული განთლების საქმე. მაგალითად, ზვარეს პარტორგანიზაციასთან არსებულ დაწყებითს პოლიტსკოლაში ამ ცოტა ხანში 4-ჯერ ჩაიშალა მეცადინეობა. პარტორგანიზაციას (პარტორგი—რ. ბერიძე) არავითარი ზომები არ მიუღია მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ცხმორისის სოფლსაბჭოს ტერიტორიულ და კოოპერაციის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლებში არის შემთხვევები კომუნისტების გამოუცხადებლობისა მეცადინეობაზე არასაპატიო მიზეზით.

კოოპერაციის პირველადი პარტორგანიზაცია ცუდად მუშაობს უპარტიო აქტივთან. მიუხედავად იმისა, რომ აქ მრავლად არიან მოწინავე კომკავშირელები და თანამგრძნობები, კოოპერაციის სისტემაში მომუშავეებიდან პარტორგანიზაციას პარტიის რიგებში დღემდე ერთი კაციც არ მიუღია.

პარტაქტივის კრებაზე კომუნისტებმა ილაპარაკეს აგრეთვე მიწგანის მოუქნელ მუშაობაზე. ისინი აღნიშნავდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩამორჩენას.

რაიონულმა პარტიულმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ერთხმად იწონებს საქართველოს ბოლშევიკთა XI ყრილობის გადაწყვეტილებებს და სახავს ღონისძიებებს მათი პრაქტიკულად გატარებისათვის ცხოვრებაში.

**ქ. დოგოლაჯგინიძე.**

## თიანეთის რაიონის პარჯაქჯივის კრება

(თიანეთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა თიანეთის რაიონის პარტიული აქტივის კრება.

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მრელაშვილმა. პარტაქტივის კრებამ, რომელსაც 34 კაცი დაესწრო, გულდასმით მოისმინა ამხ. გ. მრელაშვილის მოხსენება.

კამათში გამოვიდა 8 კომუნისტი. ზოგიერთმა მოკამათემ ზერელედ ილაპარაკა, პარტიულ მუშაობაზე არაფერი სთქვა.

ამხ. დ. გუტიკაშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა თიანეთის საგზაო განყოფილების უფროსის ამხ. ბერიძის უთავბოლო მუშაობა. მან აღნიშნა, რომ საგზაო სამუშაოები კუს ნაბიჯით მიმდინარეობს.

კრებამ ამხ. მრელაშვილის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ერთხმად მოიწონა საქართველოს ბოლშევიკთა XI ყრილობის გადაწყვეტილებანი და დასახა კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის გარდასაქმნელად.

**ზ. ხეჩაგავა**

## გავაუმჯობესოთ მუშაობა პარჯიაში აღდგენილ კომუნისტებთან

(ფოთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტმა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილების გამოქვეყნებისთანავე დაიწყო პარტიიდან გარიცხულთა საქმეების დაწვრილებით შესწავლა. პირველადს პარტორგანიზაციებში და პარტიის საქალაქო კომიტეტში შემოვიდა სულ 66 საჩივარი. ეს განცხადება, რომლებიც დროულად იქნა განხილული. პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ პარტიის რიგებში აღდგენილია 28 ამხანაგი (მათ შორის 2 გადაყვანილია პარტიის წევრობიდან კანდიდატად). გარდა ამისა, ზემდგომმა პარტიულმა ორგანოებმა პარტიის წევრობის უფლებებში აღადგინეს 19 კაცი. სულ ფოთის პარტიულ ორგანიზაციაში აღდგენილია 47 ამხანაგი.

ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოვლინებულ იქნენ ცილისმწამებლებიც, მაგალითად, პარტიის წევრი ა. ანდრიაძე (ქალაქის საბჭოს პარტორგანიზაცია), რომელმაც ცილი დასწამა პარტიის წევრს ნ. ზიმბლიცკის, თითქოს ის მენშევიკების გვარდიაში მსახურობდა. ა. ანდრიაძე ამას ასე ასაბუთებდა: „როგორც მე მახსოვს, ნ. ზიმბლიცკის ჯარისკაცის მაზარა ეცვა მენშევიკების დროს და ალბათ გვარდიელი იქნებოდა“. ა. ანდრიაძეს ცილისმწამებლობისთვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიაში ახალ აღდგენილთა აღზრდის საქმეს, მათ ჩაბმას პარტიულ მუშაობაში. ყველა აღდგენილს მიცემული აქვს სათანადო პარტიული დავალება. სავაგონო დეპოში პარტიაში აღდგენილი მ. წულაია პარტორგის მოადგილედ აირჩიეს. პარტიის საქალაქო კომიტეტი სისტემატურად ამოწმებს, თუ როგორ ეხმარებიან პარტიაში აღდგენილ კომუნისტებს მიცემულ დავალებათა შესრულებაში.

ზოგიერთ პარტორგანიზაციაში (რკინიგზის კვანძი—პარტკომის მდივანი ნ. გეგუჩაძე) ადგილი ჰქონდა ზოგიერთი აღდგენილი კომუნისტისადმი არაბოლშევიკურ მიდგომას. მაგ., ე. კიკალეიშვილს არავითარი პარტიული დავალება არ ჰქონდა მიცემული, სანამ საქმეში საქალაქო კომიტეტი არ ჩაერია.

ბაკალეის პარტორგანიზაციაში პარტიაში ახლად აღდგენილს მიხეილ კუპრაძეს არავითარი პარტიული დავალება არა აქვს მიცემული. ეს ნაკლი მალე უნდა გამოვასწოროთ.

საჭიროა უფრო მეტად ვიმუშაოთ პარტიაში აღდგენილი კომუნისტების აღზრდის, მათი პარტიულ მუშაობაში ჩაბმის საქმეზე.

**ზ. მელიქია**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე ამხ. ა. თუთბერიძე კონსულტაციას უწევს აგიტატორებს საქ. კ. პ. (ბ) მეთერთმეტე ყრილობის მასალების შესწავლის საკითხებზე.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## ბოღშევიკურად გადავამზადოთ პარჯიული კადრები

**თ. ლოგვანიძე**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კურსების სასწავლო ნაწილის გამგე.

ბოლშევიკთა პარტია და ხალხთა ბელადი დიდი სტალინი სისტემატურად ზრუნავენ პარტიული კადრების მომზადება-გადამზადების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. ამ მიმართულებით დიდი მუშაობის ჩატარების შედეგად ათასობით მომზადდა ახალი, უნარიანი მუშაკები. ახლანდელ ეტაპზე კიდევ უფრო მეტი და სერიოზული მუშაობის ჩატარებაა საჭირო პარტიული მუშაკების თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისა და მათი იდეოლოგიური გამობრძმედებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის და დიდი სტალინის მითითებები საფუძვლად დაედო მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნას.

ამხანაგი სტალინი აღნიშნულ პლენუმზე ამბობდა: „ძველ ლოზუნგს ტექნიკის დაუფლების შესახებ... აუცილებელია დაემატოს ახალი ლოზუნგი კადრების პოლიტიკური აღზრდის შესახებ, ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ და ჩვენი პოლიტიკური გულდადნობის ლიკვიდაციის შესახებ“. ამ მითითებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ ამხანაგმა ლ. ბერიამ საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე სთქვა: „ამხანაგი **სტალინის** ეს მითითება ჩვენს წინაშე სახავდა პარტიულ-პოლიტიკური სწავლების ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესების ამოცანას გვავალებდა ჩვენ დავხმარებოდით პარტიულ კადრებს, პირველ რიგში ხელმძღვანელ კადრებს — დაუფლებოდნენ ბოლშევიზმს, შეიარაღებულიყვნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით“.

საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი და სერიოზული ღონისძიებები გაატარეს ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. ერთერთი ასეთი ღონისძიება არის საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმდინარე წლის 11 აპრილის დადგენილება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან რაიკომების მეორე და მესამე მდივნებისა (50 კაცისათვის) და რსტრუქტორების (160 კაცისათვის) ორთვიანი კურსების მოწყობის შესახებ, ხოლო პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომის მდივნებისა და პარტორგებისათვის (1800 კაცისათვის) თხუთმეტდღიანი კურსების მოწყობის მესახებ.

აღნიშნული კურსების მსმენელთა ძიების, სწავლებისა და გამოშვების საქმის კარგად დაყენებისათვის საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და პირადად ამხანაგ ლ. ბერიას მიერ, მთელი რიგი მითითებები მიეცათ პარტრაიკომებს და განსაკუთრებით კი კურსების დირექციას. ამ მითითებების ცხოვრებაში გასატარებლად კურსების პარტორგანიზაციამ და დირექციამ ჩაატარეს სათანადო მუშაობა, რომლის შედეგადაც მსმენელების მოსვლასა და მეცადინეობის დაწყებას ძირითადად მომზადებული შეხვედით. შერჩეულ იქნენ კვალიფიციური მასწავლებლები, მიღებულ და დაზუსტებულ იქნა სასწავლო პროგრამები, შეგიძინეთ საჭირო ლიტერატურა და სხვ. ერთი სიტყვით, მიმდინარე წლის 15 ივნისისათვის ყოველმხრივ მზად ვიყავით. 20-22 ივნისში კურსებზე ჩარიცხული იყო პარტრაიკომების 50 მეორე და მესამე მდივანი და პარტიის რაიკომის 86 ინსტრუქტორი (ინსტრუქტორების მეორე ნაკადი შემდეგ მიიღება).

მეცადინეობა დავიწყეთ მიმდინარე წლის 21 ივნისს. სწავლის პროცესს დასაწყისში მთელი რიგი სერიოზული დეფექტები ახლდა, მაგრამ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საშუალებით ნაკლოვანებანი მალე გამოსწორდა.

აღმოფხვრილია მსმენელთა მიერ ლექციების უმიზეზოდ გაცდენა ან დაგვიანება. მსმენელებმა განსაკუთრებით დიდი ინტერესით მოჰკიდეს ხელი პარტიის ისტორიისა და რუსული ენის შესწავლას.

იმისათვის, რომ კომუნისტური პარტიის ისტორია და მისი ბელადების ლენინისა და ამხანაგ სტალინის გმირული ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის შექმნისა და გამარჯვებისათვის უფრო ნათელი, უფრო წარმტაცი, უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო მსმენელთათვის, მოწყობილ იქნა ექსკურსია ავლაბრის არალეგალურ სტამბასა და ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში. სტამბის დათვალიერებამ დიდი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია მსმენელთა შორის. იქ ვნახეთ ყველა ის ადგილი, სადაც წარსულში გმირულ, მეუპოვარ, დაუღალავ, მძიმე რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა ამხანაგი სტალინი თავისი ამხანაგებით (ძმები ჩოდრიშვილები, მ. ბოჭორიძე, მაღრაძე და სხვ.) მეფის წყობილების დასამხობად.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ნახვამ. იქ დიდხანს ვეცნობოდით იმ გმირულ და სახელოვან ისტორიას, მხატვრულ სურათებში გადმოცემულს, რომელიც გაიარა ლენინ-სტალინის პარტიამ. მსმენელებში წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მუზეუმის ნახვამ. პარტისტორიის სწავლების უფრო მაღალ დონეზე აყვანის მიზნით ამხ. ბ. ლუდვიგოვს პარტისტორიაში ამა თუ იმ თემის გაკლისას თავისი ჯგუფი მიჰყავს ყოველთვის ლენინის მუზეუმის შესაფერისი განყოფილების სანახავად. ეს კარგი და სასარგებლო ინიციატივაა და ცუდი არ იქნება, რომ სხვა ლექტორებიც მიბაძავდნენ მას.

ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სწავლების ხარისხი უფრო კარგი იყოს. სურვილი და ცდაც არის, რომ უფრო კარგად მოვაწყოთ მთელი ჩვენი საქმიანობა და ერთგვარი მიღწევებიც გვაქვს. მაგრამ ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ყველაფერი გავაკეთეთ და საზრუნავი და საბრძოლო აღარაფერი გვაქვს. არა! დეფექტები ჯერ კიდევ ბევრია და არსებითიც. მათი აღმოფხვრა სწრაფად უნდა მოხდეს მთელი ჩვენი კომუნისტური კოლექტივის ერთსულოვანი ბრძოლით.

მაგალითისათვის ჩამოვთვლი ზოგიერთ ნაკლს. ლექტორებს შორის გაშლილი არ არის სოცშეჯიბრება, ყველა მსმენელი არ არის ჩაბმული ინდივიდუალურ შეჯიბრებაში. კოლექტიური შეჯიბრების მუხლების შესრულების შემოწმებას ვერ ვახდენთ სისტემატურად. ჯერ კიდევ ადგილი აქვს დაგვიანებასა და გაკვეთილების გაცდენას, საღამოს და დამოუკიდებელ საათებს ყველა მსმენელი ვერ იყენებს.

გეოგრაფიის კაბინეტი და მისი გამგე ამხ. ანტონოვა ჯგუფებს საჭირო მომსახურებას ვერ უწევენ. სწორედ როდესაც საჭიროა, მაშინ არ არის თავის ადგილზე გეოგრაფიის კაბინეტის გამგე.

ყველა ამ დეფექტების აღმოფხვრა შეგვიძლია და თუ მოვინდომებთ, აღმოფხვრით კიდეც. ერთი კი უნდა აღვნიშნოთ: არა გვქონდა პარტიული კურსების მოწყობის გამოცდილება. ამიტომ დეფექტების ნაწილის არსებობა ამ მდგომარეობით აიხსნება. ეს მუშაობა უფრო კარგად ჩატარდება მომავალში. ჩვენ ამ მუშაობის სერიოზულობა და პასუხისმგებლობა შეგნებული გვაქვს. იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიული კურსების წინაშე დგას, წარმატებით შევასრულებთ, რადგან ჩვენს მუშაობას ყოველდღიურად თვალყურს ადევნებს და ხელმძღვანელობს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

## პარჯიაში აღდგენის შემდეგ

ხალხის მტრებმა, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტების ნაბოლარებმა, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ სოხუმის პარტრაიკომში, ხალხის მტრებთან კავშირის მოტივით, 1937 წლის აგვისტოში საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხეს, სამუშაოდან მოხსნეს და ხალხის მტრად გამოაცხადეს პარტიის აქტიური წევრი 1924 წლიდან კოდორის ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორი ამხ. პ. პრილიპკო.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ მან განცხადება შეიტანა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, სადაც დეტალურად გაეცნენ პარტიის რიგებიდან პრილიპკოს უსაფუძვლოდ გარიცხვის საკითხს და იგი აღადგინეს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის უფლებებში.

პარტიაში აღდგენის შემდეგ იგი დაწინაურებულ იქნა სოხუმის ელექტროსადგურის უფროსის თანამდებობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში, პრილიპკოს პარტორგანიზაციამ დაავალა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელობა, რაც მან ჩინებულად შეასრულა.

ამხ. პრილიპკო პარტორგანიზაციაში კარგი ნდობით სარგებლობს.

ელექტროსადგურის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ამხ. პრილიპკო ფარული კენჭისყრით აირჩია სოხუმის საქალაქო მესამე პარტიული კონფერენციის დელეგატად, ხოლო კონფერენციის მიერ იგი არჩეულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმის წევრად.

ხალხის მტრების მიერ უდანაშაულოდ გარიცხული ამხ. პრილიპკო ისევ დაუბრუნდა ლენინ-სტალინის პარტიის რიგებსა და აქტიურ სამეურნეო და პარტიულ მუშაობას ეწევა.

## უკეთ ვიმუშაოთ პარჯიის რეზერვებთან

უკვე წელიწადნახევარზე მეტია, რაც პარტიულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს ახალ წევრთა მიღება საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. ამასთან დაკავშირებით ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააძლიერა პარტიული ხელმძღვანელობა თანამგრძნობთა, კომკავშირელთა და უპარტიო აქტივის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად.

მაგრამ ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პარტიული კომიტეტები, რომლებიც პარტიაში ახალი წევრების მისაღებად სერიოზულ მუშაობას არ ეწევიან თანამგრძნობებთან.

არასახარბიელო სურათია პარტიაში ახალ წევრთა მიღების მხრივ თბილისის ლუდის № 2 ქარხნის პარტორგანიზაციაში (პარტორგი — ამხ. ავაქოვი). აქ საერთოდ თავს არ იწუხებენ პარტიის ზრდის საკითხით. ქარხანაში 130 მუშა-მოსამსახურეა, აქედან პარტიაში ახლად მიღებულია მხოლოდ 3 კაცი. სრულიად არადამაკმაყოფილებელია პოლიტ-აღმზრდელობითი და მასობრივი მუშაობა თანამგრძნობებთან. თანამგრძნობთა ჯგუფის წევრები: ამხ. ა. ტატუაშვილი, ნ. გიდარონი, ო. როსტიაშვილი, ტ. ჩარჩანია და ბასილაშვილი დღემდე არ იყვნენ ჩაბმული პარტგანათლების წრეებში.

ცნობილია, რომ ადამიანი იზრდება, ორგანიზაციულ ჩვევებსა და დისციპლინას იძენს, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკულ მუშაობაში. ამიტომ საჭიროა თანამგრძნობები, კომკავშირელები და უპარტიო აქტივისტები პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ჩაებან პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, გამოწრთონ ისინი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. პარტიის რეზერვების ბოლშევიკურად გამოზრდის ეს აუცილებელი პირობა ლუდის № 2 ქარხნის პარტორგმა ამხ. ავაქოვმა უგულებელჰყო.

აღნიშნულ პარტიულ ორგანიზაციაში ბევრნი არიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც 1928-1932 წლიდან პარტიის წევრობის კანდიდატებად ირიცხებიან. დღემდე არავინ ფიქრობს პარტიის წევრად მათი გადარიცხვის საკითხზე.

ქარხანაში ფორმალურად არსებობენ გაზეთის წამკითხველ-მესაუბრეები. აქ გაზეთის ხმამაღლა წაკითხვა და საგაზეთო საუბრები იშვიათად ტარდება. ყველა ეს ფაქტი პარტორგის მოუქნელ მუშაობას მოწმობს.

საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომი პრაქტიკულად უნდა დაეხმაროს აღნიშნული ქარხნის პარტორგანიზაციას პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებაში, თანამგრძნობთა ჯგუფის მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსწორებაში და პროპაგანდისტულ-საგაზეთო მუშაობის გაშლაში.

**ალ. გილაშვილი**

# ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლის მეოთხე წლისთავი

**პარიზი,** 18 ივლისი (საკადესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, ვალენსიაში გაიმართა ზეიმი ლევანტის ფრონტზე მებრძოლი რესპუბლიკური არმიის წარმომადგენელთა პატივსაცემად. თეატრი, სადაც კრება მიმდინარეობდა, მორთული იყო სახალხო ფრონტის ყველა პარტიის დროშებით. ორატორთა სიტყვებში გაისმოდა ლევანტის მთელი მოსახლეობის შეუდრეკელი გადაწყვეტილება მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს საბოლოო გამარჯვებამდე. სიტყვებში თავისი გამოხატულება ჰპოვა იმ ბრძოლის გმირულმა სულმა, რომელიც რესპუბლიკის არმია აწარმოებს ლევანტის ფრონტზე.

ვალენსიის ყველა გაზეთი აქვეყნებს სტატიებსა და მასალებს, რომლებშიც აწერილია ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლა და გამოხატულია მისი ნებისყოფა—განაგრძოს ეს ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე. გაზეთები ჰბეჭდავენ ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას რესპუბლიკის არმიისადმი, რომელიც იბრძვის ლევანტის ფრონტზე. „გამკლავება დღეს—ეს ხვალინდელი გამარჯვების საფუძველია",—ნათქვამია მიმართვაში. გამოქვეყნდა რესპუბლიკელ მებრძოლთა ღია წერილი ესპანელი ხალხისადმი, რომელშიც მებრძოლნი სიტყვას აძლევენ ხალხს, რომ მათი მხრით წინააღმდეგობის გაწევა კი არ შესუსტდება, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდება. „შეჰქმეხით მეტი დოვლათი,—სწერენ მებრძოლები,—განამტკიცეთ ზურგი. ჩვენ სიტყვას გაძლევთ, რომ ისინი ვერ შემოვლენ". ვალენსიის ქალაქის თავი გამოვიდა განცხადებით, რომელშიც ღრმა კმაყოფილება გამოსთქვა რესპუბლიკის ზურგის მორალური მდგომარეობით. „ვალენსია,—თქვა მან,—თუ საჭირო გახდა, შესძლებს გამკლავებას ისე, როგორც მადრიდი".



# ესპანეთის სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის მოწოდება

**ბარსელონა,** 17 ივლისი (საკადესი). ესპანეთის სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტი თავის მოწოდებაში ხალხისადმი მეამბოხეთა და ინტერვენტების წინააღმდეგ ომის 2 წლისთავის გამო აცხადებს, რომ სახალხო ფრონტი იყო **და** რჩება რესპუბლიკის დაცვის იარაღად. „თვითეული პარტია და თვითეული პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც სახალხო ფრონტში შედის, — ნათქვამია მოწოდებაში, — თავის ავტონომიას ინარჩუნებს. მაგრამ გამარჯვების უზრუნველსაყოფად საჭიროა, რათა სახალხო ფრონტის ორგანიზაციებმა ერთიანობის საკითხებს მეტი ყურადღება მიაქციონ. ჩვენთვის საჭიროა, ჯერ ერთი, დაეიცვათ მტკიცე დისციპლინა, მეორე, ჩვენ უნდა გავადიდოთ მტრისადმი წინააღმდეგობის გაწევის ძალები, უკეთ ვიმუშაოთ და ამ გზით ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება. მთავრობას უფლება აქვს კიდევ უფრო მეტი მსხვერპლი მოსთხოვოს ყველა მოქალაქეს, რადგან ომი მათივე ინტერესების დასაცავად სწარმოებს".

სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტი შემდეგ აღნიშნავს ესპანეთის რესპუბლიკის ახლანდელი მთავრობის მიერ მიღწეულ წარმატებებსა და აცხადებს, რომ ხალხსა და სახალხო ფრონტს შორის, ერთის მხრივ, და მთავრობას შორის, მეორე მხრივ, სრული ერთსულოვნება სუფევს.

# ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

**ბარსელონა,** 17 ივლისი (საკადესი). გუშინ შესდგა ესპანეთის მთავრობის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ესპანელი ხალხის ბრძოლის ორი წლისთავის აღნიშვნის საკითხი. სხდომის გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში მთავრობა თავის აღტაცებას გამოსთქვამს ხალხის მასების გმირობით, რომელნიც ორი წლის განმავლობაში როგორც ფრონტზე, ისე ზურგში მსოფლიოს ანცეფრებენ **თავიანთი** სიმტკიცით, ენერგიითა და დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგულებით. მთავრობამ დაამტკიცა დემონსტრაციებისა და ახალგაზრდა მებრძოლთა მიერ ფიცის მიღების ცერემონიების წესი.

18 ივლისს რესპუბლიკის პრეზიდენტი რადიოთი წარმოსთქვამს სიტყვას, მიმართულს ესპანელი ხალხისადმი.

# ბონდო ფიფია აყვანილია საქიმო მეთვალყურეობის ქვეშ

როგორც საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. ო. თოდაძე იტყობინება, სამი წლის გოლიათი ბონდო ფიფიას (იხ. „კომუნისტის" 16 ივლისის ნომერი) შესასწავლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ადგილზე მიაგზავნა დოკენერი ასლანიშვილი, რომელიც შეაგროვებს ანამნეზურ ცნობებს. ბავშვი გამოკვლეული იქნება ექიმების მიერ ყოველმხრივ. ამჟამად ბავშვს მკურნალობის მიზნით მიეცა �ოდროული დახმარება 500 მანეთის რაოდენობით.

# საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში

18 ივლისს მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრკ პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამო" და „ცდკა" (წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდი).

მეტად საინტერესო და მწვავე ბრძოლის შემდეგ შეჯიბრება მოიგეს „ცდკა"-ს ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

ამ გამარჯვებით „ცდკა" პირველობის გათამაშების ლიდერთა რიგში ჩადგა. ამჟამად მას თერთმეტი მატჩიდან აქვს 16 ქულა.

**სურათზე:** თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „ტორპედოს" შეჯიბრება სსრკ პირველობაზე 14 ივლისს მოსკოვში.

# ქართული ხალხური სიმღერის კონცერტები მოძმე რესპუბლიკებში

„საქფილეგთმა" მეტად საჭირო საქმეს მოჰკიდა ხელი. მიმდინარე ზაფხულში მასთან არსებული სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდები გაემგზავრენ სხვადასხვა ქალაქსა და სამრეწველო ცენტრებში ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორის მოძმე რესპუბლიკებისათვის გაცნობის მიზნით.

აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი გაემგზავრა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში: სოხუმსა, გაგრასა და სოჭაში; აქედან გუნდი წავა ივანოვო-ვოზნესენსკში, შემდეგ გორკში (ნიჟნი-ნოვგოროდი.), აქედან მოსკოვში, სადაც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტზე, შემდეგ წავა იაროსლავლში, მოივლის შუარუსეთის მსხვილ საწარმოო ქალაქებს და აგვისტოს ბოლოს თბილისს დაბრუნდება. გუნდს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსან სანდრო კავსაძის ავადმყოფობის გამო ულოტბარებს დავით კავსაძე.

დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი ორდენოსან კ. პატკორიას ხელმძღვანელობით გაემგზავრა მინერალურ წყლებში, სადაც მოემსახურება კავშირის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულ დამსვენებლებს; გუნდი იქ დარჩება ათ დღეს, შემდეგ წავა ეკატერინაში, მოივლის კიევს, ოდესას, ვინნიცას, პოლტავას, ბარკოვს, ჩავა მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად, გამოვალს როსტოვში, ბაკოში და ჩამოვა თბილისს აგვისტოს დამლევს.

თერგის მხარე და უკრაინა მოისმენს დასავლეთ საქართველოს მრავალფეროვან სიმღერებს, ნახავს მასობრივ ცეკვებს: აფხაზურ „შარათინს", სვანურ ფერხულს ცერულით, სვანურ შაირს ცერულით, რომელსაც მოხდენილად ასრულებს სვანი ადილარ შუკვანი, „მთიულური" მატკავა და ჩაბავას შესრულებით, ლეკურს დ. ჩიკვაიძის, თ. მხეიძის, ს. პაჭკორიას, კ. გოგიჩაძის და სხვების შესრულებით და სხვ.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ფოლი ინოგზაურებს შუაბიაში და ბელორუსიის ქალაქებსა და საწარმოო ცენტრებში.

მეჩონგურეთა ანსამბლი ალ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა მოსკოვს; იგი გამოვა „ერმიტაჟში", კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, რაიონების დასასვენებელ პარკებში, საწარმოებში და სხვაგან.

ანსამბლთან ერთად გაემგზავრა კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი, რომელიც წაიკითხავს მთელ რიგ ლექციებს ჩვენი ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესახებ.

ასეთი მასობრივი გატანა რესპუბლიკის გარეთ ქართული ხალხური შემოქმედებისა მხოლოდ დღეანდელ პირობებში შეიქმნა შესაძლებელი; მხოლოდ ლენინ-სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ შესცა სსრკ ხალხებს თავიანთი კულტურის ერთმანეთისათვის გაცნობის საშუალება.

**ლადო გეგეჭკორი**

# ახალი კინოფილმი—„პური"

(საუბარი კინორეჟისორებთან—ოო დენოსან ძმებთან ვასილიევებთან)

იმ ამბებმა, რომლებსაც ფილმი ასახავს, ნაწილობრივ უკვე ჰპოვეს თავისი გამოხატულება ლ. ნ. ტოლსტოის რომანში — „პური". მაგრამ ჩვენს წინაშე დასახულმა ამოცანამ საჭირო გახადა დამატებითი მასალის გამოყენება. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენ ვინახულეთ ისტორიული ამბების ადგილები, სტალინგრადი, დონის მრავალი სტანიცა — კალაჩი, პიატიზბიანკი, ნიჟნე-ჩირსკაია და სხვ. ჩვენ დავათვალიერეთ წარსულ ბრძოლათა ადგილები, ბალახით დაფარული თხრილები, რამდენჯერმე ბოლანით გადავიდით დონზე.

ჩვენი ახალი მუშაობა უკვე ჰპოულობს ფართო გამოძახილს მშრომელთა შორის. ჩვენ ყოველდღე ვღებულობთ წერილებს საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან — ბრძოლების მონაწილეებისაგან, დამსწრეთაგან, ზოგჯერ კი ამბანაგებისაგანაც, რომლებიც გვაძლევენ ამათუიმ რჩევას, გამოსთქვამენ თავიანთ მოსაზრებას მომავალი მუშაობის შესახებ.

ამჟამად ჩვენ ვარჩევთ და ვამუშავებთ მგზავრობის დროს შეგროვილ მასალას. უახლოეს დროში ჩვენ ა. ნ. ტოლსტოისთან ერთად დავიწყებთ სცენარზე მუშაობას. ვიმედოვნებთ, რომ წლის დამლევისათვის დავამთავრებთ სცენარს და გადაღებისათვის მზადებას. ვფიქრობთ, ამ წლის ზამთარში დავიწყოთ გადაღება პავილიონში, ხოლო 1939 წლის მაისში ადგილობრივ ადგილებში ვიმგზავროთ სტალინგრადის რაიონში. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რათა 1939 წლის ოქტომბრის დღეებში სსრ კავშირის კინოთეატრების ეკრანებზე ვიჩვენოთ ცარიცინის შესანიშნავი ეპოპეისადმი მიძღვნილი ჩვენი ახალი კინოფილმი.

**სერგეი ერმოლინსკი**
**ალექსანდრ ანანოვი**

# ლენინგრადელ ინჟინერ-ტექნიკოსთა ბრიგადა

ლენინგრადელ ინჟინერ-ტექნიკოსთა ბრიგადა ჩამოვიდა ბაკოში. ბრიგადა ბაკოში ჩამოსულ ინჟინერ-ტექნიკოსებს ეცნობიან ბაკოს ნავთობის ინდუსტრიის ბრძოლა-ტექნიკურ ბაზას, ეცნობიან ბაკოს ნავთობის ინდუსტრიის ტექნიკურ-ეკონომი